

၁၄၆



ဒုဂေသနာဂျာ



N° 11

နောက်လမ်း

1946

პროლეტარები



საქართველოს ახალგაზრდათა ლენინის კომუნისტური კავშირის
დანიალური კომიტეტის უკველთვის საგავლო უზრუნველყო.

1946 წელი

ჭელიწადი 21-ე

გამოცემლობა „კომუნისტი“

№ 11

ნოემბერი

საბჭოთა სკოლის მოსწავლეებო! ჩაუფიქოთ ცოდნას, ემზადეთ
განვითარეთ მზადებელ მეგაბორდები ჩანინ-სტალინის საქმისათვის!

საბჭოთა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტ-
რალური კომიტეტის მოწოდების დიდი ღირობაში
სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავისათვის.

ალექს შეხვება

საზეიმოდ თქმული


ყველაზე ტკბილს, ყველაზე კარგს.
რასაც ქვეყნად არა-რა ჯობს,
ვრცელს, მშვენიერს. და უძლეველს,
ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს,
ჩვენს დიად ხალხს გაუმარჯოს!

— : —

ვინც დარაჯობს ამ სიხარულს,
ამ სამშობლოს ვინც დარაჯობს,
ვინც მზად არის რკინის მკერდით,
მტრის ყველა გზა გადარაზოს,—
ჩვენს არმიას გაუმარჯოს,

— : —

იმას, რომლის სიყვარულში
გული ჩვენი დაღლას არ გრძნობს
ჩვენს იმედს და სიამაყეს,—
ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს,
მის სიცოცხლეს გაუმარჯოს!





03216216026-02602162





მარტინი

1946 წლის მხატვრული ფილმი, თბილისის დენინის ორდენისანი კინოსტუდიის ნაწარმოები. სცენა-რი—პ. პაგლენკოსი და მ. ჭიაურელისა; დადგმა—მ. ჭიაურელისა; ოპერატორი—ლ. კოშმაროვი; კომპოზი-ტორი—ა. ბალანჩივაძე; მხატვარი—ლ. მამალაძე, რეჟისორები—პ. ბოგოლუბოვი, ვ. შველიძე, მ. ანჯავარიძე, ვ. დოლენქო.

ამხანაგ სტალინის როლს ასახიერებს მ. გვლოვანი, ვარგარა პეტროვას როლს—ს. გიაცინტოვა.

ამ ფილმში ასახულია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გზა, საბჭოთა ხალხის გაირული ბრძოლებისა და გამარჯვების მძიმე და სახელოვანი გზა, დაწყებული ლუნინის გარდაცვალების დღიდან, ვიდრე ჩევენ დრომდე.

1924 წლის იანვარი. მკაცრი, სუსჩიანი ზამთარი; ისეთი ზამთარი, როგორიც რუსეთში იცის ამ დროს. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას დიდი უბედურება ეწია. გარდაცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, მშენებლთა დიდი ბელადი და მასწავლებელი. გორკიში, მოსკოვის მახლობლად, ლენინის სახლთან თვე მოიყენეს ათასობით მუშებმა და გლეხებმა. საბჭოთა ადამიანები, უსაზღვრო მწუხარებით წელში მოხარისი და თვალცრებულიანნი, იმოქებენ

თოვლში. ლენინის სახლიდან გამოღიან პარტიის ხელმძღვანელები. ბოლოს გამოღის ამხანაგი სტალინი. მძიმე სევდაა მას სახეზე აღბეჭდილი. თოვს. ამხანაგი სტალინი ნელი ნაბიჯით მიღის პარკში, იმ სკამთან, საღაც ლენინთან ერთად არა ერთ-ხელ მჯდარი. სკამი დათოვლილია. სტალინი უცემერის სკამს და ცრემლი ერევა. ტირის სტალინი, ტირის სე, როგორც ტირიან ლენინის სახლთან თოვლში დახმარილი, როგორც ტირის მთელი ხალხი.

წითელი მოედანზე ზოვა ხალხია. საბჭოთა ქვეყანა ეთხოვება დღი ლენინს. ტრაბუნაზე ადის ამხანაგი სტალინი. მასთან არიან ამხანაგები მოლოტოვი, კალინინი, ორჯონიძე, კიროვი, ძერუინსკი და სხვები. ამხანაგი სტალინი



პარტიის სახელით წარმომქმედი დოკუმენტის, რომ ღიასრულად შეასრულებს ლენინის ანდერძს:—მაღლა გვეჭიროს და წვინდად შევინახოთ პარტიის წევრის დიადა სახელი, მთელი ძალ-ღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი, განვამტკიცოთ და გვათაროთოთ რესპუბლიკათა კავშირი, განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არძია და ჩვენი წითელი ფლოტი.

ამხანაგ სტალინთან ერთად ფიცს დებს მთელი ხალხი. „ვფიცავთ!“ — გუვაზებს ხალხს შეძახილი. ამ დროს უბრალო რუსი ქალი ვარვარა პეტროვა წერილით ხელში მიღის ამხანაგ სტალინისაკენ. ეს წერილი ლენინის სახელზე იყო დაწერილი ვარვარას ქარის მიერ. იგი, მტკიცე ბოლშევიკი, აცნობებდა ლენინის მტრული აგენტურის მოქმედების შესახებ. კულაკებმა გზაში მოკლეს იგი, და ვარვარამ წამოიღო მოსკოვს ეს წერილი. მაგრამ ლენინი აღარ იყო. სამაგიეროდ ვარვარამ იგრძნო, რომ დიდი ლენინის საქმეს გაუძლვება ამხანაგი სტალინი, რო-



მელმაც ეს-ესაა ფიცი დაღო მის კუბოსთან. ვარვარამ მთელი თავისი არსებით იგრძნო, რომ სტალინი არის ხალხთა დიდი ბელადი. ეს ულრმესი გრძნობა და უდიდესი რწმენა მთელი სიცხადთ იყო აღბეჭდილი ამ ქალის სახეზე, როდესაც ის ტრიბუნისაკენ მიეშურებოდა. ხალხმა გზა დაუთმო მას; ხალხმა იგრძნო ის, რასაც ამ დროს ვარვარა გრძნობდა.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ის-ის იყო იწყებდა ზრდასა და განვითარებას. საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეუდგა ახალი, ბედნიერი ცხოვრების შეჯმნას, დიდი ლენინის იდეების განხორციელებას.

კრისტიანი. სახეობის შილერი. ეს შოთა რეზნი ჩვეუნის სოციალისტური სახელში ფიცს საყოველთაოდ ცნობილი მშენებლები. ისინი ხედებიან ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებს. ამხანაგი სტალინი მიღის ვარვარასთან და იწყების მისთან საუბარს იმ დიადი შრომის შესახებ, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ეწევიან თავისი ქვეყნის ასაშენებლად. ამ სცენაში მოხანს დიდი სტალინის განსაკუთრებული გულთბილობა, მისი მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანისადმი, მისი ადამიანური უბრალოება და გულახდილობა. ვარვარას კითხვაზე: „იქნება თუ არა ომი?“ — ამხანაგი სტალინი უქარებლად უპასუხებს: „შველაფრიდან ჩანს, რომ იქნება. შველაფრიდან ჩანს, რომ ვერ აცდებით“... და ამას ამბობს ამხანაგი სტალინი დიდი გულისტიკივილთ. მას ამ დროს აწუხებს თავისი ხალხის ბელილბალი, იმ ხალხსა, რომელმაც უნდა გადაიტანოს მომავალი ომის მთელი საშინელება.

ამხანაგმა სტალინმა იცოდა, რომ თმი იქნებოდა, და ამ ომისათვის ამზადებდა იგი თავის ხალხს. და ია დაიწყო ეს საშინელი ომი. ვერაგმა მტერმა დააქცია ჩვენი ქვეყნის სოფლები და ქალაქები, გაანადგურა ის, რაც შექმნილი იყო ხალხს მიერ სტალინური ხუთწლებებს განძილზე. მტრის ურდინები მიაღდა მოსკოვს. უცხოელი სტუმარი ამხანაგ სტალინთან საუბარში გამოთქმას აზრს — დრო ხომ არ არს დასტოროთ მოსკოვი? ამხანაგ სტალინის პაუხი ამ კითხვაზე აცვიფრებს უცხოელ სტუმარს. უცხოელი აზრით, მოსკოვის ბელი ბეწვზე ეკიდა, ამხანაგმა სტალინმა კი გამოთქმა ურყევი რწმენა ჰიტლერულ გერმანიაზე უდავო გამარჯვებისა. ეს რწმენა ჩაუნერგა ამხანაგმა სტალინმა თავს ხალხს იმს პირველი დღეებიდანვე და ამ რწმენით მიიყვანა ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

ბრძოლები სტალინგრადთან. ვარვარამ დაკარგა თავისი შილები სასტიკ ბრძოლებში, მაგრამ კეთილშებილმა რუსმა ქალმა, რუსმა დედამ არ დაკარგა რწმენა ჩვენი სიმართლისა, არ დაკარგა სულიერი ძალა და წითელი არმის მეომრებთან ერთად თავგანწირებით იბრძებს საბოლოო გამარჯვებისათვის. სტალინის ქალაქი არ დაანება მიტერს საბჭოთა ხალხმა და აქ გატეხა მისი ხერხემალი.

გამარჯვების დღე. ზეიძი კრემლში. ვარვარა კვლავ ხედება დიდ ბელადს. გამარჯვებათა მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი

შეცტლების ვარგვასან, სამშობლოს სახულით მაღლობას ეუბნება და ხელზე ჰქონდას. ამით დიდი ბელადი გამოხატავს თავის უდიდეს პატივისცემას მშრომელი რუსი ქალისადმი, მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის დედობისადმი.

ასე მთავრდება ეს შესანიშნავი მხატვრული ფილმი. ყველაზე ამაღლელვებელი ამ ფილმში არის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახე, რომელსაც გადმოვცემს ფრიად ნიჭიერი მსახიობი მიხეილ გელოვანი. ამხანაგ სტალინს ამ ფილმში ჩვენ კერძავთ ისეთი სახით, როგორიც იყო არის ჩვენს თვალში, გხედავთ მას უბრალო, მისაწვდომ, მართალ, თავისი ხალხის ქვეშმარიტად მოყვარულ ადამიანად. მაგრამ მიხეილ გელოვანი არ დაკმაყოფილდა მარტო აძიოთ. მას სურდა ამხანაგი სტალინი ეჩვენებინა „ისეთი სახითაც, როგორითაც მას უნდა იცნობდნენ მთელ მსოფლიოში, მეგობრებიც და მტრებიც“.

„მე მინდოდა,—ამბობს მ. გელოვანი, — მეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის, რომ სტალინი—ეს არის საბჭოთა ქვეყანა, ხოლო საბჭოთა ქვეყანა—ეს არის სტალინი, რომ

ტელწერ სინდიცი და პატიოსნების უკანას სტალინის სინდიცი და პატიოსნება, რადგან სწორედ ხალხთან ბელადის ერთიანობაში ერედავდი მე ყველა ჩვენი გამარჯვების საფუძველს“.

მიხეილ გელოვანმა ბრწყინვალე შედეგშის მარწიდა. მთელ ფილმში ყველგან, თავიდან ბოლომდე, ნათლად მოჩანს, რომ საბჭოთა ხალხი და მისი ბელადი, დიდი სტალინი, ერთად, განუშორებლად ემსახურებიან ერთს დაიდ მიზანს—მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდშია ეს თუ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს. ეს მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.

* * *

„ფიცმა“ დიდი წარმატება მოიპოვა მთელს ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში. ამ ფილმმა აკრეთვე თთქმის მთელი მსოფლიოს ეკრანები შემოიარა და დიდი შთაბეჭუილება მოახდინა ყველგან. თბილისის კინოსტუდიამ ამ ფილმის ქართული ვარიანტიც დამზადა, რომელიც ნაჩვენები იქნა საქართველოს კინოეკრანებზე მიმღინარე წლის ნოემბერში, ოქტომბრის დღეს საჭირო დღეებში.



კალამ შეკრისტონი

ბერადის საღლეგრძელო


ვადიდოთ იგი, ვინაც პირველად
იკრძნო ქართული ტკბილი ურმული,
ხალხს მოევლინა თვალთამხილველად,
მწუხრით რომ იყო გადაბურული.

ვადიდოთ გორი, ჯულანთ გვარმა
რომ მთელ მსოფლიოს მისცა გენია,
მისგან იდაროს სამშობლოს დარმა,
ვიდრე ვარსკვლავნი ცას მოჰვენია.

ვადიდოთ ხალხი, ვძიაც შელადად
ჰყავს მთის არწივი საქართველოდან,
იგი გმირულად მტერს გვიცელავდა,
მას დედამიწა მხსნელად ელოდა.

იყოს დღეგრძელი, იცოცხლოს, ვიდრე
მზეს შეეძლება ქვეყნად ნათება,
ემატებ დღენი, რამდენი ვარდიც
ვარდობს თვეში ბალს ემატება.





წითელი არმიის სიამაყე

(რუსეთის არტილერიის ისტორიის ინტერიერი)

შატრიანეშ გადმოცემით, რუსეთში ცეცხლ-მსროლელი არტილერია პირველად მთავარ-ზა დამიტრი ღონელმა გამოიყენა 1389 წელს, როცა მან მახვილი აღმართა ოქროს ურდოს წინააღმდეგ. 1408 წელს არტილე-რიის მძლავრი ცეცხლით მოსკოვმა თავი ისნა თათართა უღლისაგან.

XV საუკუნეში, ივანე III დროს, რუსე-თის არტილერია საგრძნობლად განვითარდა. მოსკოვში აგებულ იქნა ეგრეთწოდებული „საზარბაზნე ქოხი“, საღაც ქვემეხებს ასხა-დნენ. იმ დროს ცნობილი მეზარბაზნე ოს-ტატები იყვნენ ვინმე იაკობი და მისი მოწა-ფები ვარია და ვასიუკი. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ანდრია ჩოხოვი, რო-მელმაც შექმნა ცნობილი ზარბაზნები: „მე-ლა“, „მგელა“ და 2.500-ფუთიანი „მეფე-ზარბაზია“. (ეს უკანასკნელი ამჟამად მოს-კვის კრემლში ინახება).

ივანე მრისხანეს დროს—XVI საუკუნე-ში—რუსეთის არტილერია მეტად მძლავრ დალა წარმოადგენდა—იგი 2.000-მდე ზარ-ბაზნისაგან შესდგებოდა. ალსანიშნავია, რომ იმ დროს ქალაქი ყაზანი აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო, მაგრამ თანრებთან ბრძოლისას რუსული ქვემეხებს ცეცხლმა აღვილად დაანგრია მისი კედლები და ნამს-ხვრევებად იქცია ალაყაფის კარი.

რუსი არტილერისტები თავდადებული შრომით თანდათან აუმჯობესებდნენ ქვე-მეხებს ხარისხს და უკვე პეტრე დიდის დროს, რუსეთის არტილერია უძლიერესი იყო ევროპაში. პეტრე დიდი, რომელიც ამჟამად ატარებდა ბომბარდირის სახელწო-დებას და შესანიშნავი არტილერისტიც იყო, განსაკუთხებულ ყურადღებას აქცევდა არ-

ტილერიას. მის მიერ 1699 წელს დაწესე-ბულ იქნა არტილერიის უფროსის, გენე-რალ-ფელდცემაისტერის წოდება. რუ-სეთის პირველი გენერალ-ფელდცემაისტე-რი იყო ქართველი ბატონიშვილი ალექ-სანდრე.

პოლტავის ცნობილ ბრძოლაში რუსმა არ-ტილერისტებმა 5 საათის განმავლობაში 1.461 გასროლა მოაწრეს და მტერს სტყორ-ცეს 972 ყუმბარა, 427 ფინდიხი და 62 ბომბი. ეს იმ დროს დიდ საბრძოლო წარმა-ტებას წარმოადგენდა.

XVIII საუკუნეში რუსეთის არტილერიის დახმარებით განადგურებულ იქნა პრუსიის მეფის ფრიდრიხ II ჯარი. რუსეთის არტი-ლერია დიდებით შეიმოსა ნაპოლეონთან ბრძოლის დროს (ბორილინის ბრძოლა), 1854-55 წლებში სევასტიონის გმირულ დაცვისას და XIX-X X საუკუნეთა უცვლა სცვა ამში.

საინტერესოა ერთი ფაქტი: შეიძლება იმის დროს, რუსეთის არმია გენერალ ჩერ-ნიშვის საჩდლობით მიადგა პრუსიის დე-დაქალაქ ბერლინს. რუსმა არტილერისტები, რუსი კონსტანტინების პ. შუვალივის კომსტრუქტიონის „მარტორქა“ ზარბაზნები-დან ქალაქს 1.200 ყუმბარა დაახალეს და აიძულეს იგი დანებებულიყო.

სამქალაქო ომის დროს გამანადგურებ-ლად ურტყამდნენ მტერს საბჭოთა არტილე-რისტები. განსაკუთრებული ძალით დაიჭუ-ხა ჩერნისა არტილერიამ ვოლგასპირა ტრა-ნილებზე 1918-19 წლებში, როცა ცარიცი-ნის (ამჟამად სტალინგრადი) დაცვას ხელ-მძღვანელობდა დიდი სტალინი.

ნაბჭოთა პრტილერიაშ, ჩომელიც შეელი რესული არტილერიის დიდებს მემკვიდრეა, უმაგალითო ძლიერებას მიაღწია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით—ამიტომაა იგი სტალინური არტილერია.

სტალინის გენით შთაგონებულია საბჭოთა კონსტრუქტორებმა, სიციალისტური შრომის გმირებმა მ. ი. კრუპჩიატნიკოვმა, ვ. გ. გრაბინმა, ი. ი. ივანოვმა, თ. თ. პეტროვმა, ინეინერ-კონსტრუქტორებმა გ. დ. დოროხინმა, ე. გ. რუდიაკოვმა, დ. ე. ბრილმა, ა. გ. ლუკასკიმ, ი. ა. ბობელონისლუკოვმა, ი. ი. გვამი და მათმა თანამშრომლებმა შექმნეს შორსმსროლელი მძიმე არტილერია, ჰაუპტიცები, საზენიტო ზარბაზნები, თვითმავალი არტილერია, საზღვაო და სარკინოზო საარტილერიო დანაღვარები, რეაქტივული არტილერია და მრავალი სხვა.

გენიალური მხედართმთავარი დიდი სტალინი ხშირად უშუალო მონაწილეობას იღებდა ახალი ზარბაზნების გამოცდაში. აი, იგი მივიღა გამოსაცდელად გამზადებულ ვ. გრაბინის ზარბაზანთან, მიესალმა კონსტრუქტორს და ჰკითხა:

— ამა, რას გვეტყვით, ამხანავო გრაბინ? გრაბინმა მოკლედ განუმარტა ზარბაზნის რაქტივური და ტექნიკური ღირსებები:

— რა არძის თქვენს სისტემაში უცხოური?—იგითხა ამხანავმა სტალინმა.

— არაფერი!—იყო პასუხი.

— ეს ძალიან კარგია!—ღიმილით თქვა მმხანავმა სტალინმა.

დიდი სამამულო ომის დროს წითელი არმიის არტილერია სპობდა გერმანიის არმას ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. სტალინური ხუთწლედების მანძილზე შექმნილი საარტილერიო ქარხნები მრავალ ასეულ ათას ზარბაზანს აგზავნიდნენ ფრონტზე. სტალინის სახელობის ქარხანამ სამამულო


ოშის განმავლობაში წითელ პრშიფი ტექნიკური ზარბაზანი მისცა. ასეთი ქარხნები აზიანებული მრავალი გვაქმეს.

მებრძოლთა განსაკუთრებული სიყვარული დაიშასხურეს გვარდიულმა ნამდისატ-ყორცებმა—ეგრეთწოდებულმა „კატიუშებმა“. ამ სახელს გაგონება თავზარს სცემდა გერმანელ ფაშისტებს და ისინი მართლებიც იყვნენ: „კატიუშების“ შემშურავი ძალა მათ საკუთარ ტყავზე განიცადეს.

ჩვენი არტილერიის უმაგალითო სიძლიერეზე ლაპარაკობს ს, რომ ბერლინს აღმისას ერთდროულად მოქმედებდა წითელი არმიის არტილერიის 22.000 სხვადასხვა ყალიბის ზარბაზანი და ნალმსატყორცნი. ომების მტკრამ ასეთი რამ არ იცის.

დადგა სტალინმა ასე შეაფასა საბჭოთა არტილერია: „დიდი სამშულო ომის ბრძოლების ჟაპარეზებზე საბჭოთა არტილერია გამზარდა წითელი არმიის მრისხანე, მთავარ დამრტყმელ ძალად, რომელმაც ჩვენი ქვეითი ჯარის, ტანკებისა და ავიაციის მჭიდრო ურთიერთობის მედებით დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და თვალსაჩინო როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იაპონიის სრული განაღვეურების საქმეში“.

1942 წლის 19 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთს, ღონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და მიაღწიეს ბრძოლებას ისტორიაში ანასულ გამარჯვებას: ფელდმარშალ პაულიუსის 330-ათასიანი არმია გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნა. ამ ბრძოლაში საბჭოთა არტილერიის გადამწყვეტი როლის აღსანიშნავად 19 ნოემბერი არტილერიის დღედ დაწესდა.



საოცომაბრო ამბავი

ოქტომბრის დასწყისში სოხუმის ვაჟთა
 1-ლი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეების
 მოსწავლეების ქალთა 76-ე საშუალო სკოლის
 მოსწავლეების ქალთა 76-ე საშუალო სკოლის 29
 წლისთავს.

ეს ამბავი განა შარტო იმ სკოლაში მოხდა,
 სადაც ჩემი მეგობარი ბიჭი სწავლობს — კოხტა;
 ცეროდენა ბიჭუნაა, აციმციმებს თვალებს,
 წრეულს გახდა ერთი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.
 ეს ამბავიც სწორედ წრეულს, — სულ ახლახან მოხდა...
 პო, ვისაც კი ვუამბე ყველას გულში მოხედა.


მოსკოვიდან გამოფრინდა მტრედის თეთრი ფრთებით,
 გადმოლესა კავკასიის იისფერი მთები
 და ბარათმა. მოსკოველი პიონერი დების,
 ერთ დღეს სოხუმს მოუტანა სიხარულის ხმები.
 იმ სკოლაში, სადაც სწორედ ეს ამბავი მოხდა,
 სადაც ჩემი მეგობარი ბიჭი სწავლობს — კოხტა,
 მოიწვიეს მთელი სკოლის რაზმეულის კრება.
 აპა, როგორც პიონერთა კრებას ეკადრება,
 დიდ ლარბაზში თავს იყრიან მღერით ნება-ნება,
 ყველა თავის რაზმის გაშლილ დროშის ქვეშა დგება.
 პა, დუმილი ჩამოვარდა, მიწყდა ხმები მღერის,
 და კითხულობს პიონერთა ხელმძღვანელი წერილს:

„დიდ ოქტომბრის დღესასწაულს დიდება და ვაშა! მანამდე კი, მეგობრებო, სულ ერთი თვე დარჩა.	მოგიხდებათ სიბეჯითე, მოგიხდებათ გარჯა! თქვენთანა გესურს საოქტომბრო მოწოდების გაშლა!“
--	---

ვაშა! ვაშა! თანახმა ვართ! დაიგრვინეს ერთხმიდ
 ყველა თავის რაზმის გაშლილ დროშას შემოერტყა.
 ვაშა! ვაშა! თანახმა ვართ! — გუგუნებდნენ ერთ ხანს.

იმ დღის შემდეგ სკოლის ზარმა ბევრი იწყრიალა,
 იმ დღის შემდეგ სკოლის კარმა ბევრი იწყრიალა...
 და უკვირდა ერთი რაზმის საქმე სკოლის დარაჯს;
 როს დუმილი მოიცავდა სკოლის მაღალ კედლებს,
 რად რჩებოდა ერთი რაზმი გაკვეთილის შემდეგ?
 იდგა ჩუმად კლასის კართან გულკეთილი ბაბუ
 და ისმენდა შავ დაფაზე თეთრი ცარცის კაქუნს...

ასე გაპყნენ დღეს დღეები შვიდფერ ცისარტყელად.
 სადღაც მითხრეს, რომ იმ სკოლაშ თავი ისახელა,



სადაც ჩემი მეგობარი სწავლობს კოხტა ბიჭი...
გამეხარდა, მერე გულთან ერთ ხანს მქონდა იჭვი,
მაგრამ იმ დღეს, თვალი მოვკან ნაცნობ ლამაზ ხალათს,
გადაშიდგა ჩემი ბიჭი, სალმიო გამახარა,
მითხრა: ძია, დამაგალებთ, მეყვარებით მარად,
თუ მოსკოვში გამიგზავნით ამ პატარი ბარათს!“


ჰოი, ჩემი პატარებო, თურმე მთელ დღეს სწერდა,
ასე ერთად რაკი გნახეთ წავიკითხოთ ერთად:

„მე, ქართველი პიონერი,
საბჭოების მხარის,
პიონერთა ერთი რაზმის
საბჭოს თავმჯდომარე
გწერთ ამ წერილს გულახდილად,
კით პიონერს შევნის:
საოქტომბრო მოწოდება
როს ბივილეთ თქვენი,
მე მას ვშლილი ჩამორჩენილ
რაზმში, როგორც დროშას,
რომ პირნათლად შევხვედროდით
დიდ ოქტომბრის მოსკლას.

და, ჰა, როცა გაიშალა
დროშა ოქტომბერის,
როცა გულზე დაგვეფინა
დილა ოქტომბერი,
ქვეყნისა და ოქვენს წინაშე
საქმით პირნათელი,
იქ, პარაღზე, ჩემი რაზმიც
მოდიოდა მოერით...
დიდ ოქტომბრის დიად დროშას
დიდება და ვაშა!
კიდევ ასჯერ და ათასჯერ
შეგხვდეთ იმის გაშლას!“



აღმასრული წულუკიძე



(70 წელი დაბადებიდან)

დღიდ სტალინის ღირსეული თანამებრძოლი, შესანიშნავი ბოლშევკი ალექსანდრე (აშა) წულუკიძე იმ დროს გამოვიდა სამორვაშვილ ასპარეზზე, როდესაც რუსეთში დადი ბელარუსის ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ყალიბდებოდა ახალი ტიპის პარტია.

საშა წულუკიძე გამოვიდა შეძლებული ქლასის წრიდან, მან ბრძოლა გამოიუცხადა თავის წრეს და მთელი მისი სიცოცხლე მშრომელი ხალხის კეთილდღეობას შესწირა. 1876 წლის ნოემბერში დაბა ხონში (ახლა ქ. წულუკიძე) დაიბადა ს. წულუკიძე იმერეთის თავადის ოჯახში. ფაქიზი, ნიჭიერი და გრძნობიერი ა. წულუკიძე აღრიდან კვართლებოდა იმ უთანასწორობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ.

18 წლის ჭაბუკი ა. წულუკიძე შეებრძოლა იმ წრეს, საიდანაც გამოვიდა, და ცხოვრების შიზნად ხალხისადმი სამსახური დაისახა. ამისათვის კი საჭირო იყო ცოდნის შეძენა. ალექსანდრე წულუკიძე 1895 წელს უახლოვდება ქუთაისში მყოფ მარქისტებს. 1896 წელს მიღის თბილისში, იქისან ბაქოში, ეცნობა მუშათა კლასის მდგომარეობას, აწყობს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრებს და ამავე დროს გულმოდგინედ მუშაობს თავის თავზე. 1897 წელს

ა. წულუკიძე მოსირების უნივერსიტეტში სწავლობს. ორი წელი დაყო მან იქ და უდიდესი გატაცებით მუშაობდა მარქისტის შესასწავლად. იგი ოცნებობდა მარქისტის იდეების ხორციელებაში და თავის მეგობარს რუსეთიდან სწორდა მარქისის შესახებ „როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ჩვენს ცხოვრებაში გამოიღოს ნაყოფი ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა“. ა. წულუკიძეს წილად ხდა ბელინიერება დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ყოფილი კვენებში მარქისისმას დაიდი მოძრვების დამწერგავთაგანი. 1899 წლიდან, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით იგი უდიდეს მუშაობას ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციურ-მარქისტული ორგანიზაციების შესაქმნელად. თვით აწყობდა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ხელმძღვანელთაგანი იყო მუშათა პოლიტიკური გამოსვლებისა მეფის თვითმშეყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ ა. წულუკიძე გადაჭრით დადგა ლენინურ პოლიტიკურ წესში და სასტრიკად ებრძოდა მუშათა კლასის მტრებს — მენშევიკებს და სხვა გამცემებს.

ა. წულუკიძეს დღი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებაში, მუშების საუკეთესო ხაწილი, მშრომელი გლეხობის, ახალგაზრიობის ბოლშევიკური ორგანიზაციების გარშემო დარაზმვის საქმეში. იგი იყო საუკეთესო ორგანიზატორი, მარქისისმას გამოხენილი პროპაგანდისტი. ამავე დროს ის დიდ თეორიულ ძალას წარმოადგენდა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი.

მთელი მისი სიცოცხლე მშრომელთა განთავსუფლებისათვის საბრძოლო მოწოდებას წარმოადგენდა. 29 წლის ახალგაზრიდა იყო ა. წულუკიძე, როდესაც გარდაიცვალა—1905 წლის ივნისში. ს. წულუკიძის ცხედარი ქუთაისიდან ხონში წაასვენეს. მის გასვენებაზე მოსულ მრავალათასიან შშრომელთა წინაშე შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა დიდი სტალინი.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები წმინდად ინახავენ ალექსანდრე წულუკიძის ნათელ ხსოვნას.

ლენა სტურუა

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ପାଇଁ କୃତିଜୀବିତ ପରିଚୟ

წელს ნოემბერში გიორგი ქუჩიშვილს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. პოეტისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩენიმა საზოგადოებამ შეტად გულთბილად აღნიშნა. თვით პოეტი რუსთაველის თეატრში გამართულ ზემის ავალყოფნის გამო არღავანი დასწრებია. სამაცლობელი ბარათი, რომელიც გამოვზავნ მან, ასე იწყებოდა: „ძვირფასნო, გმადლობთ!“ ხოლო ცოტა ქვემოთ პოეტი წერდა: „მთელი ჩემი შევნებულიცხოვრების მანძილზე არ მახსოვს დღე, რომელიც გამოთაშული ყოფილიყოს ჩემი ხალხის ინტერესებსაგან, ჩემი სამშობლოს ჭირი და ლხინი ჩემი ჭირი და ლხენაიყო.“

ეს გულწრფელი განცხადება ნათლად
განსაზღვრავს პოეტის შემოქმედებას, იგი
ჩვენი ხალხისაგან განუყოფელია, ამიტომ
ასე პლობელი და საყვარელია ყველასათ-
ვის.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა რეაფტიის შავი ღრუბელი ჩამოწევა, მეფის მოხელენი წრფელ აზრისა და მიზანს ფეხევეშ თელავდნენ. ქვეყანას აკეთებდა ცრემლი და ხალხის მოთქმა-გონიერა. შორეულ ციმბირის გზებზე არ წყდებოდა ბორკილთ უღარუნი, მტარვალებს სახელმძღვანელაზე აცყავდათ უანგარო გმირები. ამ დროს გაისმა პოეტის ხმა, ამ წლებში გამოვიდა და იგი სამწერლო ასპარეზზე. იგი შომავალი ქარიშხლის მაუწყებლად სახავდა თავის თავს; წარღვნის შემდეგ მზის სამუდამოდ გამეფებას წინასწარმეტყველებდა, „ქარიშხლის წინამორბედი პოეტი“. მას სიმნევე და ბრძოლის უყრვილი შეჯონდა ხალხში. პოეტს შემოლოდ ხალხის შომაფ ვალი სწამდა. მის ერთადერთ ნატერას ის წარმოადგენდა, რომ მისი სიმღერა ყოველ ადამიანს გულს ჩასწოდოდა და თითო-ეულ ჩაგრულსა და დამცირებულს მოვლინებოდა ნუგეშად.

କେବେଳିଲୁ ଦୀନଗରାଟ୍ରୀରେ ନିର୍ମାଣ କରାଯାଇଛି । ଏହାର ପରିମାଣ ଅଧିକ ହେଉଥିଲା ।



გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე) დაიბადა სოფელ ვარდისუბანში (კახეთში) 1886 წელს. მისი მშობლები ძალზე დარიბდა ცხოვრობდნენ. მომავალ პერტს მამა ადრე გარდაეცვალა. დედა მარტო ვერ შველოდა ოჯახს. ამიტომ მცირეულოვან გიორგის თვით უხდებოდა საარსებო საშუალებათა ძიება. იგი ბევრგან მიაბარეს შეგირდად: მენავთესა და მენახშირესთან, ზეანკალსა და ოქრომჭედელთან, ერთხან ვიღაც მოხელის ოჯახში ხელზე მოსამსახურებდაც იყო.

სწავლობდა ჯერ ავლაბრძის სამოქალაქო
სასწავლებელში, შემდეგ თბილისის ბოტა-
ნიკურ ბაღთან ასევებულ საბაღოსნო სკო-
ლაში. მაგრამ ერთიც და მეორეც მალე და-
ტოვა სიღარიბის გამო. მძიმე იყო პოეტის
წარსული, ქუჩა იყო მისი თავშესაფარი, და
აქედან წამოდგა მისი ლიტერატურული
ფუნდონიმიც—ქუჩიშვილი.

მშრომელ ხალხს, რომელმაც წარმოშვა
იგი, მუდამ მომავლის იმედებით აკსებდა
პოეტი. იმ წლებში ყველგან ცნობილი იყო
მისი სტრიქონები:



ჩვენი მოგათი

Digitized by srujanika@gmail.com

ანიშანი რომ შეეგისტრდე, „თ ის“ როცა კურილი
მდგრადია ასე გაცემის პილი,
კულუმები და ას გირინებდა,
წავინ მეონდა გადაშლილი
მოვების დახატული,
და ფურცლებზე ჩეხეჩებდა
შენი ლუქის ნაკადული,
ბევრი, ბევრი ტაშის სივრცა,
ახლაც ტებილად ვიღიება;
იბები, ბები, ტებილო ბები,
ავრემუ გენაცელები,
ოქროს სათვალეს გიყილი,
როცა გავიზრდება!“
და მას შემზევ ეს სიმღერა
გვილში ჩიძრჩა სამახსოვროდ,
და მე მინდა ის ხმა ტებილი
კრიცე კათხელ მოვაკონ.
საქართველოს შომლერალო,
კვების შენი ჩინგის კლერი,
ვაცც გულწრიფელად შეგვარგარე
სამშობლო თა ლეღა-ენა,
ახლა, როცა მოგვიუცდი,
აგვიცერდი ასე ტებილად,
როცა შენი ქვეყნის თავზე
მისი ნათელი მოფენილა,
იმ სიმღერას, მე რომ მაღაზე
მშობლის გული მარტინბინა,
ასე ტებილად იღერიან.
ჩემი ციდა ნათეხებია;
„ბები, ბები, ტებილო ბები,
ავრემუ გენაცელები,
ოქროს სათვალეს გიყილი,
როცა გავიზრდება!“

ამიტომ მათი ზემოქმედება ძლიერდა და
ხანგრძლივი. ვის არ ახსოვს პოეტის მშვე-
ნაური ლექსი „პირველი მაისი“, რომელიც
ერთობ პოპულარულია.

„დღეს პირველი მასრა
და პირველი გაზაფხული,
შოთელ-წითელ ყვავილებით
მოაჩინული და მოკაზმული!“

პოეტი ბავშვებს ველის ყვავილებს ადა-
რებს, მათი სიკარულით ცოცხლობს, მაგ-
რამ, როცა პარალელს გააღლებს თავის ბავ-

ప్రశ్నగ అను వ్యాపకమైన అనుభూతి, ప్రశ్నగొప్ప
హృదయ లక్షణమైన మాటల్లా, ప్రశ్నగిల్లా,
ఎందుకంట యుచ్ఛయాగు బ్యాల్డా,
ఎందుకప్పిస్తూ క్షేరుయాగు గ్రామమీలా!
అను వాటిగుల్లా ఈసుసి విషాదా,
అను వాటిగుల్లా శిల్పిసి వ్యాపా,
ప్రశ్నగ బ్యాల్డా వ్యాపకిసి ప్రశ్నగు,
శిల్పిసి కిల్లా క్షేర్పిసి నెంద్రమీలా”

პოეტის შემოქმედებითმა აღმატერენაშ
მთელი სისრულით გაშალა ფრთა საერთ-
ველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რების შემდეგ. თუთ იგი წერილში „ჩემი
წარსული“ წერდა: „საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დამყარების შემდეგ იწყება ჩემს შე-
ძოქმედებაში ახალი, ჩემთვის მეტად ღიას-
შესანიშნავი, იდეურად უფრო მაღალი პე-
რიოდით“. პოეტი მთელი გატაცებით უმღე-
რის დიდ ბელადს, ლენინ-სტალინის პარ-
ტიას, დიდ საბჭოთა ხალხს, სტალინური
ბუთწლედების უდიდეს მონაგარს, ყვავე-
ბულ სოფლებსა და ქალაქებს, ქართველი
ხალხს ბეღნიერ წმინდას და მის სამყარო
შეისახოვდა წალკოტაზ აჭარა.

1941 წლს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცა-
ჰე საავტორო ღრუბლები წამოიშალნენ,
მტრისალმი შურისგებით დაცვილმა პოეტ-
მა-ჯარისკაცმა ფარიზა მოითხოვა და თავი-
სი აზრი და მელავი ფრონტისალმი სამსა-
ხურს დაუქავემდებარა.

ბევრს ახსოვს საყვარელი პოეტი გრძო-
ლის კელზე, ბაქსანის ხეობაში ჯარისე-
ცებთან ტრიბუნაზე ხელაღმართული,
მტრის შესამუშავებად რომ მოუწოდებდა
მათ. მაშინ მრისხანე უამი იდგა, მტერი
კავკასიის მისაღმოშებს აწყდებოდა, იმ
დღეებში გორჩი ქუჩიშვილი, როგორც
პატრიოტი, საბჭოთა პოეტი, თავს მგზნე-
ბარე პოეტური ხმით მტრის განაღვურებას
აჩქარებდა.

გიორგი ქუჩინშვილმა თანამედროვე ქართულ საბავშვო ლტერატურას ბევრი კარგი ნაწარმოები შესძინა. პოეტი კაზხადიცნობს ბავშვის ფისტოლოგიას, მალე შეუძლია გამოიცნოს მისი გულის სარტყელოება. დამახასიათებელია პოეტი ი. გრიშაშვილის მოგონებიდან ერთი ეპიზოდი. იგი გაღმოგვცემს: „ერთ სასწავლებელში მე და გიორგი საბატიო პიონერად აგვირჩის და ყელზე წითელი ყელსაჩვევები შემოგვაწრეს. ამ მოულოდნებლამ სისარულმა მაღლობს თქმის უნარი წამართვა, ენა დამეგა. გიორგი კი ესპერატორითად შესანიშნავი ლექსი წარმოაქვა“. გ. ქუჩინშვილის საბავშვო ლექსები უშუალო სისადავთ ხასიათობა,

შეობასთან, უნებლივდ ღონდება, რაღაც მაშინ მისთვის სკოლის კარები დახშული იყო. პოეტის ლექსების გმირებია ტწავლა-ში წარჩინებული ბავშვები, ნორჩი მშენებ-ლები, პატარა მოდელისტები, პიონერთა ბანაკის ცელქები, მომავალი ინეინრები, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოზარდები და მათი მხიარული მეგობრები: მურია, ფისო, ცუგა, წრუწუნა და სხვები. ზოგჯერ პოეტი რჩეას აძლევს ბავშვს, დიდაქტიკას მიმართას. ასეთი ლექსებია: „ცულლუტს“, „რჩევა“ და სხვა. პოეტს აქვს ისეთი საბავშვო ლექსებიც, რომლებშიც ვრცელი, მოზარდისათვის დამაინტერესებელი ამბებია გადმოცემული ცხოველთა გარემონდან. ასეთია: „ამბავი ტყეში“, „წრუწუნა და კრუტუნა“, „ჭურიას ამბავი“ და სხვა.

გიორგი ქუჩიშვილის საბავშებო ლექსებში უკილებში ცწავლობენ, სახეიმო სალამორებზე წარმოთქვამენ, პიონერულ ბანაკებში მღერიან. ბავშვისათვოს პოეტის ლექსები პატარაობიდანვე „დედაენასავით“ ტებილი გამხდარა. ამიტომ არის, რომ ასე უყვართ ბავშვებს პოეტი გიორგი ქუჩიშვილი. მის საიუბილეო დღეებში პოეტმა გ. ტაბიძემ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურია მეგობარს. ჩეგც პოეტთან ერთად გვინდა გავიძეორით იუბილარისადმი ეს კეთილი სურვილები:

„ზღვე ხალხს ახარებს საშვილოშვილო ჩანგთა სოწმონდე, შელთა ციწრიფალე, ქარიშხალთა და გრიგოლთა შეოლო, აცოცხლე დიდხანს და ღლეურებელე!“.

დავით შამათავა

ნილი ნაკაშიძე

პოეტთან შეხვედრა

(ნამდვილი ამბავი მოსწავლის ცხოვრებიდან)

ოქტომბრის დღესასწაულის წინაღოლებას ახარებო სალამო გვებინდა ჩვენს სკოლაში დანიშნული. ამ სალამოზე ჩვენი მწერლებიც გვყავდა მოწვეული. მწერლებისათვის მისახალებელი სიტყვა მე მქონდა დავალებული და დიდი სიყვარულითა და გულმძგინებით მოვამზადე კიდევაც, სუფთად გადაეწერე და დავიზეპირე. მთელი კვირის განმავლობაში ვფიქრობდი, თუ რა განსაკუთრებული გრძნობით ვიტყვი იმ ადგილს, გიორგი ქუჩიშვილს რომ ეხება, რარიგ ესია-მოვნება გიორგის და როგორ გამიცინებს.

გიორგი ქუჩიშვილი არასოდეს არ მენახა, მაგრამ მთელი ჩემი არსებით მიყვარდა და მიყვარს ახლაც. მარტო მე კი არა, ყველას გვიყვარს. ჯერ კიდევ საბავშვო პარში ქსწავლობდით და ემდეროდით მის საუცხოო ლექსებს და ყოველთვის მენატრებოდა მისი ნახვა.

მოსალამოვდა თუ პრა, წინდაწინ გავიქეცი სკოლაში. წინდაწინ მეტქი, ვამბობ, იძიტობ, რომ ჩემი მშობლები და და-მებიც აპირებდნენ წამოსცლას.

ტრამგაის გასახერებელ ადგილთან აუარებელ ხალხს მოყვარა თავი, ტრამგაის უცდილენენ. მეც გაეხერდი და სიხარულით ადგილიდი იმაზე, რომ დიდი და, საბედ-

ნიერ იქტომბრის დღესასწაულს უკავშირდება საყვარელი მწერლის, მშრომელთა პოეტს და ჩვენი, ბავშვთა მეგობრის გიორგი ქუჩიშვილის ნახვა.

— დიახ, ახლა ჩქარა ვნახავ,—ვფიქრობდი და მინდოდა ეს მომხდარიყ ახლავე, ახლავე მოვხვევოდი ყელზე და მეკოცნა...

წონრედ ამ დროს მოირბინა ჩემმა ამხანაგმა ლალიმ. დამინახა თუ არა, მომაძახა:

— ალიკო, ხომ არ დაგვაგვიანდა, თუ იცი?

— არა, არა,—ვუთხარი მე.

გრიალითა და წკარაწკურით მოვიდა ტრამგაი. დავფაცურდით მე და ლალი, შევედით ვაგონში და ერთად დაგასხვდით.

— აჲ, რა კარგი სალომ გვექნება დღეს, ალიკო! ცაციაშვილს ისეთი კარგი მოხსენება აქვს იქტომბრის შესახებ მომზადებული! შენი მსასასალმებელი სიტყვაც ძალიან კარგა, მე კი გიორგი ქუჩიშვილის ლექსები უნდა წავიკითხო, არჩეული მაქვს; ფერაშვილი დაუკრავს და გუნდიც გიორგის ლექსებს იმდერებს, ნოტებზე რომ არის გადაღებულ....

ლალიმ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, წამოხტა ადგილიდან და მიმართა კაჭს, რომელიც

მწე შოულოდნელად წამიგვეთდგვა თავზე.
მაღალი, შავგვრემანი კაცი, იღიმებოდა.

— დაბრძანდით!—უთხრა ლალიმ.

ტრამვაიში ვიწროობა იყო.

— რატომ აღექი?—გავჯავრდი მე,—რატომ უნდა დაუთმო აღილი ვინმეს. ეს სრულიადაც არაა სავალდებულო...

— დაჯექი, გოგონი, დაჯექი,—უთხრა კაცი ლალის ალერსიანი ხმით,—ხედავ, ამხანავი გაგიჯავრდა!

— არა, ბატონო, ეს შეცდა, გთხოვთ დაბრძანდეთ, ძალიან გთხოვთ, ძალიან, ძალიან!—შეეხვეწა ლალი.

— რაკი ძალიან მთხოვ, შენი ხათრისთვის გავჯავრებ შემს ამხანავს და დავჯდები,—გააღიმა კაცი და დაჯდა.

ტრამვაიდან რომ გადმოვედი, ლალი ვერსად ვნახე.

სამწავლებელი საუსე იყო სტუმრებით. ჩვენი დღი დარღაზის წინა ნაწილში მავი-დებსა და რაფებზე ჩვენი სკოლის უურნა-ლებძა და მხატვრობის გამოფენა იყო მოწყობილი, ვერტიბიღულში კელლებსა და სკე-ტებზე საოქტომბრო ლოზუნგები და ყველა კლასის კედლის გაზეთები იყო გაკრული. შევედი თუ არა დარბაზში, ლაპანაური შემხვდა.

— საა ხარ, ბაბლაძე, ამდენ ხანს? ხომ იცი დღეს, მწერლებიც გვყავს მოწვეული.

— როგორ არ ვიცი. მე უნდა წავიყითხო მისასამებელი სიტყვა.

— მართლა? მზად გაქვს?

— მაში! დაწერილი მაქვს. მე ყველაზე უფრო მიხარია, რომ გიორგი ქუჩიშვილს ვნახავ...

— ჯერ არ გინახავს?

— არა, შენ წარმოიღინე.

გაისძა ზარი. ყველანი დავსხედით. დარბაზში ხალხი დაშოშმინდა, დაწყნარდა. ფარდა გაისხნა და... ის, საოცრებავ! ის შავგვრემანი კაცი. ტრამვაიში რომ იყო. სცენაზე დავინახე დამჯდარი!

იგრიალა ტაშმა.

— ეს... ეს... ვინ არის?—ვკითხე ლაქა-ნაურს შეშინებულმა.

— ეს? რომელი? აი, შავგვრემანი კაცი, დარექტორის აქეთ რომ ზის? ჰოდა სწორედ ის არის გიორგი ქუჩიშვილი.

მიწა რომ გამსკდარიყო და ჩავვარდი-ლიყავი, ის მერჩია... პირველი ჩემი გან-

ზრახვა იყო გავშეცელიყავი შინ, მაგრამ სიტყვა? რომ უნდა ვთქვა სიტყვა? როგორ ვთქვა ახლა, რა ვწნა, გავიძეცე თუ დავრჩე?—ვეკითხებოდი ჩემს თაგს. ამ ყოყმანში ვიყავი და ვეღარ ვუსტენდი, თუ როგორ დაამთავრა შესავალი სიტყვა დიდი ოქტომბრის შესახებ დირექტორმა, დიდხანს არ შეწყვეტილა დარბაზში ტაში. შემდეგ მეცხრე კლასის მოწაფემ ცაციაშვილმა წაიკითხა თქონმბრის დიდი სოციალისტური რევლუციისათვის მიძღვნილი მოხსენება. შემდეგ გავიგონე ჩემი გვარი. თავბრუდახვეული ავდექი აღვილიდან და გავედი ესტრადაზე... როგორ მინდოდა ქუჩიშვილის ნახვა და... გული მიფანცეალებდა. ვერ ვაშორებდი თვალს გიორგის, რომელიც ლიმილთ მიცემოდა.—ნეტავი მიცნო თუ არა? იქნება ვერ მიცნო, —ვფიქრობდი ცოტაოდენი იმედით, მაგრამ ვერაფერი გადავწყვითე.

წავიყითხე ჩემი მისასამებელი სიტყვა. თუმცა ტაში კი დამიკრეს, მაგრამ მახსოვე—ის აღგიღი, რომელიც გიორგის შეეხებოდა, ისე მეაფიოდ და ხალისით არ გამომიგიღა, როგორც მინდოდა.

მახსოვეს, როგორ ადგა გიორგი ქუჩიშვილი, მოგვართა ბავშვებს, მოგვითხრო თავისი შესანიშნავი ლექსით, რომ მეფის დუხუჭირი, შავბნელი ცხოვრების დროს სკოლის კარები ობლებისა და ღარიბებისათვის დახშული იყო, რომ ის, გიორგი, სულ ცოტა ხანს იყო სკოლაში და თავისი ბავშვობა ქუჩაში გაატარა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიღო ფართოდ სკოლის კარები ყველასათვის.

— და პატარა რომ ვიყო, ახლა მეც თქვენსავით საბჭოთა სკოლაში მივებარებოდით...—დაამთავრა მან.

როდესაც საღამო გათავდა და შინ დავბრუნდი, მამს ვუამებე ტრამვაიში ქუჩიშვილთან შეხვედრის ამბავი. მამა დაფიქრდა და მითხრა:

— იცი, ალიკო, ზოგი შემთხვევა ძსეთია, რომ მთელს სიცოცხლეში არ დაგავიწყდება და გაკვეთილად დარჩება. ადამიანი უნდა ცდილობდეს ყველასთან იყოს თავაზიანი და...


— ოჟ, მამა,—შევაწყვეტინე მე,—მეც ეს შემთხვევა არასოდეს არ დამავიწყდება!



ବାନ୍ଦାର୍ଗ୍ରେବ୍ରଲିଂକ, ମାର୍କ୍ଷା ଫ୍ରେଡି-
ର୍ମାନ୍. ଏବଂ ଶବ୍ଦା ରହି ଥିଲା. ମାତ୍ରାମି
ଶବ୍ଦାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା, ଯାହାରେ ଶବ୍ଦାରେ
ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଉପରେ ଆଜିମାନଙ୍କରେ ପରିବର୍ତ୍ତନ
ହେଲା. ଏହାରେ ଶବ୍ଦାରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଉପରେ
ଆଜିମାନଙ୍କରେ ପରିବର୍ତ୍ତନ
ହେଲା.

გიგი შალიან განარებულია, მამა დაუბ-
რუნდა ჯარიდა.

სულ შამასთან უნდა რომ იყოს. მაგრამ მამას თავისი საქმეები აქვს, გივისაც აქვს საქმე; გივიმ სკოლაში უნდა ისწავლოს. მამა კი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა, ახლა ომი არაა, მშვიდობაა და მუშაობის საერთო ფერხულში უნდა ჩაეტას. მამა კარგი ხელო-სანია, კალატოზობა იყოს. ამიტომ მას ქარხნის მშენებლობაზე გზავნიან.



ରୂପିଣିଟ ତାତ୍କାଳିକ ଉଚ୍ଚତାରେ ଲାଗୁ ହେବାରେ ଏହା ମଧ୍ୟ ଦେଖିବା
ପାଇବାର ବିଷୟରେ ଆଜିର ମଧ୍ୟ ପାଇବାର ପରିମାଣ ଅନୁରୋଧ କରିଛି।

სწავლა უფრო ადრე მთავრდება. მაგრამ გიცი პირდაპირ შინ როდი ბრუნდება: ჯერ მაშინ გამოიყვლის. განა შორს არის იგი? იქვე, ღრმალელეში. მერე რა საინტერესო სანახვადა შექნებლობა: ზოგი ჩაინა-ბეტონის ბოძებს აკეთებს; ზოგს ბალავერი ამონ-ყავს, ზოგი ქედლებს აშენებს. სწრაფად, მხიარულად მუშაობს ამდენი ხალხი; და თანდათხ იცვლება ყველაფერი, განუწყვეტილივ მაღლება კილები.

იქვე, შორისახლოს დიდი ასოებით დაწერილი ქართველი პირიდა. გვიან ათებულობს:

„ყველას, ყველას! ღლებს, ოთხ ნორმბერს, ღლემობილიზებულმა კალატოზმა უშაანგი მნეიძემ თოთხ საათში შემსრულდა ნორმის სა-მასი პროცენტით. თავდაცებით ეიბრძო-ლოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის გან-სორციოლაბისათვეს“.

ქმაყოფილია გივი. მამამ იმში სამი ორ-
დენი და ოთხი მედალი მიიღო. აქაც სხვებს
გაუსწრო. ამიტომაც უნდა, რომ სულ მა-
მათან იყოს. მაგრამ აა, მამამ გადამისახა
ზევიდან: ბიჭო, გეყოფა აქ დგომა, შინ წა-
დო, გავთათილები ძალია.

განა ჯიურთია გივი? მუდამ უჯერებს უფრო სერიალის მიხმარებად მოტრიალდა და შინისკენ გასწია.

მიღის გიფი და თან ფიქრობს: როგორ
იცვლება ღრმაღელე, როგორ იცვლება თბი-
ლისი! ტრიალ მინდორზე, სადაც შარშან
ხეც არ იყო, ახლა დიდი ქარხანა შენდება,
ხოლო მამა ამ დიდი მშენებლობის უშუა-
ლო მონაწილეა.

რა ნათელი დღე გათენდა,
ზემდა მთა და ბარად.
მოვდივართ და მოვიმდერით,
ოქტომბერის შუქი გვფარავს,
წინ სტალინის დროშა გვიძლვის
გამარჯვების საწინდარად.

ქარი არ ქრის, მაღლა ცილან
ცვიფა სხივთა თაიგული.
ჩევნი ჯარი პასუხს გასცემს,
თუ დაგვესხა მტერი. კრული.

წინ მივდივართ, პიონერებს
სიხარულით გვიძებებს გული.
ჩევნ არ ვიცით რაა ტანჯვა,
გვაქვს ცხოვრება ბედნიერი.

ამ უსაზღვრო ღია ცისქვეშ
ჩინგურივით გული მღერის.
სწავლისაკენ, შრომისაკენ
მოგვიწოდებს ოქტომბერი.

რა ნათელი დღე გათენდა,
ზემდა მთა და ბარად.
მოვდივართ და მოვიმდერით,
ოქტომბერის შუქი გვფარავს,
წინ სტალინის სიბრძნე გვიძლვის
გამარჯვების საწინდარად.

ჰა, შეწელეთ შალალ ციფრებს,
გასასაჩულ-გასაცუილებს.
გამარჯვებს გაზაფხულად
დიდი გეგმა დასახულა,
რომ ჭრილობა მოვიშუშოთ,
დარდით არარ მოვიღუშოთ,
რომ სამშობლოს მიწა ლაღი
კვლავ ყვაოდეს, როგორც ბაღი,
რომ ცხოვრება გვქონდეს კარგი,
სიხარულით მონაქარგი.
ვიმუშაოთ, ვიყოთ მტკიცედ,
რომ ციფრები საქმედ იქცეს!
გვმართეს მეტი თავდადება
და გვექნება:

მეტი რქინა, მეტი თუჯი,
ლითონები—ქვეყნის ბურჯი;
მეტი ღაზგა, მეტი ბრძედი;
მეტი არხი, მეტი გზები;
მეტი ღაბა და ქალაქი;
მეტი ყველი და კარაქი;
მეტი ხორცი, მეტი პური
და ცხოვრება სამური.
პატარებსაც ვალად გვაწევს,
შხარი მივსცეთ ჩარხებს, დაზებს!
ჩევნც გიმწავლოთ უფრო კარგად,
თითო ხერგი ყველაშ დაგრგოთ.
ნუ დავრჩებით საძრახელად,
გაუსარით გული ბელადს!
ჩევნც შევუწყოთ მშობლებს ხელი,
რომ შესრულდეს გაგმა ვრცელი.



ხრამ

„შიმდინარე წუთშლედში უდიდეს ობიექტად კვლავ რეგება ხრამის პიფროელექტროსალგური... მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ 1947 წლის ნახევრისათვის ამუშავდება ხრამების პირველი აგრძელატი, ხოლო სად გური მთლიანად დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაუცემა 1948 წელს“.

ჭ. ნ. ჩარჩვა 20160

ხრამის ხელმავავი

კლდიან ნაპირებს შორის აქაფებული მიედინება მდინარე ხრამი. თრიალეთის ქვედზე, საღლაც ტაბაწყურის ტბის რაოთნში იძალება იგი, ამიტომა მისი წყალი ბროლივით ანკარა, ყინულივით ცივი...

თბილისიდან ხრამშესის შენებლობამდე მანქანით ოთხ საათში ახვალთ კოჯორ-მანგლისს ან თბილის-აღმდებარების კლავნილი გრატეცილით. ადგილზე მისვლისას თქვენ წინ გადაიშლება ხრამშესის გრანადიოზული შენებლობა, რომლის უფროსია გ. ლ. ჭინ-კოტაძე, მთავარი ინჟინერი ა. გინდინი, ხოლო მთავარი ინჟინერის მოადგილე და ტექნიკური განყოფილების უფროსი პ. ერის-თავი.

პირველი შეხედვით ხრამი არცთუ იმდენად დევგმირი მდინარეა, რომ მძღვანელი ელსალგური აამუშაოს. ეს ასეც არას. ამიტომ მისგან მშენებლები დევგმირობას არც მითხოვენ. მან ერთი „პატარა“ სამუშაო უნდა შეასრულოს — წყლით აავსოს ჰიდროსალგურს წყალსაცავი და შემდგომ, წყლის ხარჯვასთან შეფარდებით, ან მოაკლოს მას მარაგი.

იმ ადგილის, საღაც ახლა ხრამშესის წყალსაცავია, საეციალისტების აზრით, უხ-

სოვარ დროში ვეებერთელა ტბა ყოფილა. ასეთ ტბა კი არა, ნამდვილი ხელოვნური ზღვაა, რომელსაც რამდენიმე ათეული კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია.

წყლის ამ რაოდენობის შესაგუბებლად ტირანური შრომა გაწეული: ღრმა ხევი აპოვებულია ნაყარი ქვით, შემდეგ ქვის ჯებირია, მასზე დაყრდნობილია რკინა-ბეტონის კედელი და მთელი ეს ნაგებობა დაფარულია უეანგავი ფოლადის ეკრანით, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინვას მზის სინათლეზე.

მაგრა ამ წყალსაცავის კაშხალი—ხრამ-ჰესელთა თავდადებული შრომის შედეგი, მშენებლობის ერთ-ერთი დამთავრებული მთავარი ობიექტი.

აი, ამ წყალსაცავში დაგროვილი მდინარე ხრამის ენერგია დევგმირული კვეთებით აამუშავებს პიდროსალგურის ტურბინებს. სპეციალისტები ამბობენ: „ამ პიდროვლექტროსალგურს განასხვავებს მსოფლიოში დღემდე ცნობილი კველა ასეთივე ხასიათის საღურებისაგან ის, რომ წყლის წევევა აქ ერთობ დღიდა“. ეს იმიტომ, რომ წყალსაცავი გვირაბში გაშვებული მდინა-

მსგ

რე საგენერატორო სადგურისაკენ | 420
მეტრის სიმაღლიდან დაშვება—ესე იგი,
თთქმის ორჯერ მეტი სიმაღლიდან, ვიდრე
თბილისის ფუნიკულორის სადგური მდება-
რეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღსა-
დენი, რომლითაც მოწვევრიგებული იქნება
წყლის გარდნა, ერთ-ერთი უდიდესთაგანია
მოფლიოში.

ამ სადგურისათვის წნევის ასეთი ძალა
აუცილებელია, რადგან აქ იმუშავებს რამ-
დენიმე გიგანტური ტურბინი, რომელთა
წონა ცალ-ცალკე დაახლოებით 304 ტონაა.
ხრამპესის სიმძლავრე მეტი იქნება, ვიდრე
საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა
ჰიდროსადგურის საერთო სიმძლავრე.

მიმოგინებელი და სინათლის დაუზიანეთები ჭყანა

ასეთი იქნება ხრამპესი. ეს განასხვავებს
მას საქართველოს სხვა ჰიდროსადგურები-
საგან, რომელსაც სეზონურს უწოდებენ.
რას ნიშნავს ეს? ამ სადგურების მუშაობა
ძირითადად დამოკიდებულია მდინარეთა
უცემულიანობაზე: ბევრია წყალი—სადგუ-
რი მთელი სიმძლავრით მუშაობს; ცოტაა
წყალი—სადგურის სიმძლავრე მკვეთრად
მცირდება. სეზონური სადგურები განსა-
კუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან
ზამთარში, როცა მდინარეებში წყალი საგ-
რძნობლად კლებულობს.

ხრამპესი კი ოდნავადაც არაა დამოკიდე-
ბული მდინარეში წყლის სიუხვის სეზონუ-
რობაზე. რატომ? იმიტომ, რომ იგი წყალს
მუდამ საქმაო რაოდენობით მიიღებს თავი-
სი წყალსაცავდან — ხელოვნური ზღვი-
დან, რომელშიც წყლის მარაგი გაზაფხულ-

სა და ზაფხულში დაგროვდება. და მაშინ,
როცა წყლის ნაკლებულობის გამო ჩვენი
სხვა ჰიდროსადგურები საქმაო რაოდე-
ნობით ვერ გამოიმუშავებენ ელექტრო-
ენერგიას, მთელი სიმძლავრით ამჟავდება
ხრამპესი და მოგვცემს მდენ ენერგიასა და
სინათლეს, რამდენიც საჭირო იქნება.

ამიტომ ვუწოდეთ მას ენერგიისა და სი-
ნათლის დაუზიანეთები წყარო...

სულ ცოტა ხანიც—და ხრამპესი ხეობაში
მინელდება საბჭოთა ადამიანების გმირუ-
ლი შრომის ხმაური. 420 მეტრის სიმაღლი-
დან მეწყერული ძალით დაშვებული წყა-
ლი დაატრიალებს ჰელტონის სისტემის
ტუბინის ფრთებს, ამჟავდება გენერა-
ტორი და ელექტროენერგია გამოჰყება
გოლიათებით ჩამწყრივებულ ანძებზე გა-
კიდულ სპილენძის ძარღვებს. ელექტრო-
ენერგია—წამოვა საქართველოს გულისა-
კენ—მშობლოური თბილისისაკენ... ხრა-
მის—ქართული მდინარის ენერგია რესთა-
ვის მეტალურგიულ კომბინატში გამოად-
ნობს ქართულ თუჯსა და ფოლადს... ამ
ენერგიას უხვად მიიღებენ ფაბრიკა-ქარხ-
ნები, ტრანსპორტი, მაღაროები, შახტები,
ქალაქები, სოფლები...

ეს იქნება ახალი სტალინური ხელშე-
დის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვე-
ბა, გამარჯვება საბჭოთა ქვეყნისა, რომე-
ლიც დიდი სტალინის გენის უბედინერეს
მომავლისაკენ მიჰყავს.

ლ. ხოშვილი.



ზორბე კოსმოლიტის ხარისხი



მოსკოვის 201-ე სკოლის შესასვლელთან მიკურულია მარმარილოს დაფა წარწერით: „აქ 1933 წლიდან 1941 წლამდე სწავლობდა საბჭოთა კავშირის გმირი ზორა კოსმოლიტისასკარა“. ეს სკოლა ზორა კოსმოლიტისას სახელობის სკოლაა. მის ვესტიბიულში დგას ზორას პატარა ბიუსტი. ღერეფნებში ჰყიდია ზორას პორტრეტები და სურათები—ზორა-პიონერი, ზორა ამხნაგებსა და მასწავლებლების შორის, ზორა-პარტიზანი, სოფელ პეტრიშჩევის მახლობელ ტყეში... სკოლის მესამე სართულზე ერთეულთი კლასის კარებზე არს საკითხი წარწერა: „ამ კლასში 1941 წელს სწავლობდა ზორა კოსმოლიტისასკარა“. ზორას მერჩხე, რომელიც საბატიო ადგილად არს მიჩნეული ამ კლასში, შეუძლიათ სასღენენ მხოლოდ ისეთ ტოსწავლებს, რომლებიც ფრიადზე სწავლობდენ, სწავლობენ მსე, როგორც სწავლობდა ზორა. წელს ამ მერჩხე ზის მეათე

კლასში ფრიადოსანი მოსწავლე გალინა სმოტრიცკაია.

გარდა იმისა, რომ ზორა კლასიდან კლასში ქებითი სიგელით გადადიოდა, იგი საუკეთესო პიონერი იყო, პატიოსანი, პირდაპირი და გამშედვები გოგონა. მუდამ იცავდა პიონერის ყელსახვევის ლიცებას. არც ერთ ამხანაგს არ აძარიებდა სიცრუეს, ტრიბახს.

